მუშისგანთავისუფლება თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს, ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

# მუშა



| 1 წ. | 6 თ. | 3 თ. | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|
| მ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | |
| 5 | 2 50 | 1 25 | — 50 | თფილისში. |
| 6 | 3 — | 1 50 | — 60 | თბილ. გარ. |
| 10 | 5 — | 3 — | 1 — | საზღ. გარ. |



კრონშტატში 144 ჯარის კაცს და 10 მატროსს გატაუწყვიტეს ღახვრეტა, სხვებს კი კატორღაში გაგზავნა სხვა და სხვა ვადით. ვინდავის რკინის გზებზე, შეიარაღებულნი ბოროტ-მოქმედები დაეცნენ საქონლის მატარებელს, გასტეხეს ოთხი ვაგონი და ჩამოყარეს 17 კასრი ერბო.

...ედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10—ს. 2 ს.; საღამოს 5 ს. 7 საათ. ა დ რ ე ს ი: თავ.-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა., № 117.

№ 51

სამშაბათი, 8 აგვისტო, 1906 წ. თბილისი

№ 51

...ოთა-ამწუობების თხოვნით მივ...რთავთ ყველა კორესპონდენ...ებს გზავნონ თავიანთი წერილები, მხოლოდ

**ერთ გვერდზე**

დაწერილი.

### გრიგალის წინ.

Эй, Господи, гряди скорѣй.

II

...დღეს ხალხს აღარ სწამს ჩვენი ...ურუმ-თვალთმაქცებისა არაფერი. ...დეს როცა ხალხის გაჭირვებამ და ...ვალებამ თავის უმაღლეს მწვერ...ლს მიაღწია, როცა მისმა ჩაგვრამ ...ექციის მეოხებით უკიდურესი ხა...რათი მიიღო, ხალხი აცხადებს: ...ღემდის მე მწამდა ღმერთი ჩემი ...ინაპრებისა, მწამდა, რომ ის მიშ...ელიდა, გადმომხედავდა მოწყალე ...ვალებით მე წვალებულსა და წა...ებულს, მაგრამ დღეს ამდენი უსა...რთლობისა, ამდენი საშინელების ...ემდეგ ეს რწმენა განქრა, განქრა ...ოგორც შარშანდელი თოვლი, ...აქვან ჩემი რწმენა, ჩემი მუდარა-...ოცვა ამაო გამოდგა, არვინ გა...ონა. მაგრამ მიუხედავად ამისა ...ვენ მაინც უნდა გვქონდეს რწმენა, ...რმა რწმენა არა იმ სამართლია-...ოვის ღმერთისა, რომელიც ჩვენდა ...ბუჩად ასაგდებად, ჩვენი ხორცით ...ა სულით მოვაჭრეთ გამოუგონე...იათ, არა, ჩვენ სხვა უფრო ძლიე-...ისა და რეალური რამის რწმენა ...უნდა გვქონდეს. რა, რა უნდა ...გვწამდეს ჩვენ? განა ყველა ჩვენ ...რ ვწვალობთ საშინელი ჯოჯოხე-...ის წვალებით ყოველგვარი გაჭივ-...რებისაგან, ულმობელი შიმშილისა-...ან? სიღატაკე, შიმშილი, მონობა, ...ა ჩაგრულება, წვალება ჩვენი, ...ვალება და ტანჯვა ჩვენი მახლობ-...ელია და მოყვარეთა, ცრემლები ...ა სისხლი ჩვენი და ჩვენ მახლობ-...ელთა და მოყვარეთა,—აი ის ძლი-...რი ელემენტები, რომელთაც უნ-...ა შექმნან ჩვენში ახალი და ძლი-...რი რწმენა, რომელმაც უნდა და-...ჭიროს ადგილი ძველ აბდა-უბდურ-...ბეშურ რწმენისა. რის რწმენა იქ-...ნება ეს საშინელი და ძლიერი ...რწმენა? რა რწმენის შექნა შეუძლია საშინელ ძალას დამონთა ჯოჯოხეთურ წვალებისას? რწმენა რევოლიუციისა, შურის ძიებისა, დაუღალავი და უძირო სიძულვილისა, სიძულვილისა იმათთადმი ვინც ჩვენ სიცოცხლეს არ გვანიჭებს, ვინც გვხუთავს და გვჩაგრავს; ვინც ჩვენ და მოძმეთა ჩვენთა შეურაცხვყოფს, სისხლსა და ცრემლსა გვადენს, გვყვლეფს. დიახ, რწმენა რევოლიუციისა, დიდი, ულმობელი რევოლიუციისა,—დროა მონობის მძიმე და დამამცირებელი უღლის კისრიდან ჩამოგდებისა; რა ვართ დღეს ჩვენ, რას წარმოვადგენთ დღეს ჩვენ? დღეს ჩვენ სხვისთვის, ჩვენ მძარცველებისათვის, ჩვენ დამმონავებელთათვის მწველელი ფური, ცხოვერი, ყმა ვართ; ჩვენთვის კი არაფერი არა ვართ. ჩვენ არც ჩვენი საკუთარი ცხოვრება გვაქვს, არც ცხოვრების უფლება. **დღევანდელ** საზოგადოებაში ჩვენთვის ადგილი არ არის, ის ჩვენთვის არ არსებობს, ის ჩვენ მოწინაალმდეგეთა იარაღი გამხდარა, ის ჩვენს ზურგზე გაბატონებულთა საქეღლხო იარაღად გამხდარა; ის ჩვენი დამცირებისა, ჩვენი შეურაცყოფისა, ჩვენდა ოფლის ცრემლისა და სისხლი სადენ იარაღად გამხდარა. ამ საზოგადოებაში, რომელიც ჩვენ დამმონავებელთა ჩაუგდიათ ხელში და სადაც ჩვენი კერძი მხოლოდ მონობაა, ჩვენ არაფერი არ გაგვაჩნია, ჩვენ არაფერი არ გვაკავშირებს ცხოვრებასთან გარდა ჩვენი საშინელი და ღრმა ცხოვრების სურვილისა: არც რაიმე ინტერესი, არც კავშირი, არც ქონება. ვინა ვართ ჩვენ, რა ვართ ჩვენ? ჩვენ ვართ დევნილნი, ჩვენ ვართ კანონს გარეშე, კავშირს გარეშე მდგომარენი და ამისათვის ჩვენ არავის და არაფერს არ ვეკუთვნით გარდა რევოლიუციისა. ამისათვის დანგრევა, დანგრევა ძირითადი, დანგრევა ულმობელი ამ საზოგადოებისა, რომელსაც ჩვენთვის მონობისა ჩაგვრისა და შიმშილის მეტი არაფერი ემეტება, დანგრევა ამ საზოგადოებისა, სადაც ჩვენთვის ადგილი არ არის და შექნა ისეთი საზოგადოების, სადაც ადგილი ჩვენც გვექნება, სადაც მზე ჩვენთვისაც გაანათებს, სადაც ტკბილი სიცოცხლის შუქი ჩვენც მოგხვდება—აი ჩვენი მიზანი, აი ჩვენი ერთად ერთი რწმენა, აი ჩვენი სიცოცხლე და სულის ოქმა,—ამას გარეთ ჩვენი სიცოცხლე არ არის და არც შეიძლება იყოს. ვინც ჩვენ ამ მიზნისაკენ სვლას გვიშლის ის ჩვენი მტერია, ის ჩვენი სიკვდილის მომსურნეა,—ბრძოლა იმათთან, ბრძოლა ფარული, ბრძოლა ცხადი, მაგრამ ყოველ-დღიური, ულმობელი, სასტიკი—აი შინაარსი ჩვენი ცხოვრებისა და მოქმედებისა. ასე დღეს, ასე ხვალ, ამ თვეში და იმ თვეში, ამ წელში და იმ წელში, ასე სულ მუდამ, სანამ ბუნების, ტურფა, ცხოველმყოფელ ბუნების უხარ-მაზარ ქელეხზე,—ქელეხზე თავისუფლებისა, კმაყოფილებისა, და სიყვარულისა ჩვენც ადგილს არ მოვიპოვებთ. აი ჩვენი რწმენა, რწმენა რევოლიუციისა, დიად რევოლიუციისა, რადგან რევოლიუციაა ერთად ერთი ჩვენი მიზანი, ერთად ერთი ჩვენი სიხარული, რადგან რევოლიუცია და მხოლოდ რევოლიუცია აღგვადგენს ჩვენ მკვდრეთით და კაცთა შორის კაცად არ მიჩნეულებს „**კაცთა შორის** დაგვამკვიდრებს. აი სტიქია რევოლიუციისა. აი სული რევოლიუციისა და აი მისი საშუდარი ხალხის ზღვასავით ფართო და ღრმა გული. რა ძალას შეუძლია მისი შეჩერება ცხოვრების შეუჩერებლად? ვინ აიწევა ბუნებაზე ზევით, რომ რევოლიუციის მბრძანებელი გახდეს? ვერავინ. გრიგალი იზრდება, გრიგალი მოდის, ძველ რეჟიმს და ძველ რეჟიმისაგან ცხოვრებაზე მოდებილ ხავსს ის წალეკავს და უწმინდურს უწმინდურების მორევში დაახრჩობს.

როგორც ზამთრისაგან დასუსხულ ბუნებისათვის საჭიროა გაზაფხული და ზაფხული, ისე მონობისაგან, ჩაგრულობისაგან დასუსხულ საზოგადოებისთვის საჭიროა გაზაფხული და ზაფხული, რომელსაც რევოლიუცია მოავლენს. როგორც დროთა მსვლელობა, ისე რევოლიუცია აუცილებელია. მაგრამ რევოლიუცია ის ხმალია, რომელიც მონობის სვეტს ძირიანად მაშინ მოსჭრის, როცა ხალხი, მთელი ხალხი აიღებს მას თავის ძლიერ ხელში.

Содрагнитесь Вальтасары!

კ. ი—ი.

## ახალი ამბავი

—

როგორც ალავერდიდან გვატყობინებენ იქაურ სპილენძის ქარხნებში გაფიცულან 3 600-მდე მუშა და წარუდგენია ეკონომიური ხასიათის მოთხოვნილებანი. საგულისხმო ის უფროა აქ, რომ 70 პროც. მუსულმანი მუშები ყოფილან.

— სოფელ მარტყოფიდან გვატყობინებენ, რომ ადგილობრივ მცხოვრებს ბესო სოსიაშვილს და ვანო ებიტაშვილს გაურეკიათ სხვისი ხარები და ის იყო უნდა თბილისელ ვაჭრებისათვის მიეყიდნათ, რომ ამ დროს მოსწრებიათ ხარების პატრონი და თავის სოფლის საზოგადოებაში წაუყვანია. სოფლელებს თავიანთ სამართლით გაურჩევიათ საქმე. შედეგი სამართლისა ყოფილა ბესო სოსიაშვილის მოკვლა.

— 2 მარიამობისთვეს, რკინის გზის გამგეობის წინ პატრულმა შეაპყრო ორი სალდათი ტომრებით. გაჩხრეკის დროს ტომრებში აღმოჩნდა: 36 გირვანქა თოფის წამალი (გირვანქიან კოლოფებში); 7 კოლოფი ფისტონი (თითო კოლოფში 250 ცალი); ერთი ხანჯალი, 1000 ცალი პატრონების ფისტონი. 36 ბერდანკის პატრონა. 3 საწონი გირა და ერთიც რკინის ჩაქუჩი მალაზიის რკინის კარების გასაღებ გაზით.

— როგორც ბათუმიდან გვატყობინებენ 6 მარიობისთვეს საქონლის საწყობის რკინის გზის სადგურზე ვილაც უცნობებს მოუკლავთ სადგურის თანაშემწე დალი.

— ქუთაისიდან გვატყობინებ ნ, რომ იქ ამ დღეებში დაუჭრიათ ცნობილი ვაჭარი კემულარია; მიზეზი ჭრილობისა, როგორც ამბობენ. ფულის მოთხოვნა ყ ფ რის თქმა ყოფილა რომლისათვისაც წინა დღით ფული მოუთხოვიათ, მაგრამ მას ფული არ მიუცია და ამის მიზეზი ყოფილა რომ მეორე დღეს დაუჭრიათ.

— ავლაბრის მცხოვრებლებს თხოვნა მიუცია ნამესტნიკისათვის, რომელშიაც სთხოვენ, რომ მან დაიცვას ავლაბრელები ქალაქის გამგეობის თვითმპყრობლობისაგან. ავლაბრელების თხოვნა, როგორც თვით ავლაბრელები სწერენ, შემდეგ გარემოებას გამოუწვევია: ამ 40 წლის წინათ ავლაბარში მდებარე ადგილები, როგორც თვით ავლაბრის პატარა სოფელი მოჰყოლია ქალაქის ფარგალში, რის შემდეგაც ხაზინაც და ქალაქიც დაპატრონებია იქ მდებარე ადგილებს. უკანასკნელს დიდი გადასახადებიც შეუწერია; ეს რომ არ უკმარებია ქალაქის გამგეობას ავლაბრის შემოსავალი იჯარითაც კი გაუცია; ესეც არ უკმარებია და ბოლოს მთელი ავლაბრის მიდამოების დაგირავებას ნაფიქრალა. ამ უკანასკნელ გარემოებას აუღელვებია ავლაბრელები და შველას სთხოვენ ნამესტნიკს; ეს თხოვნა თბილისის გუბერნატორს ქალაქის თავისათვის გაუგზავნია და გარემოების ცნობება და თავისი აზრის გამოთქმა უთხოვნია.

— 5 მარიობისათვეს, საღამოს 7 საათზე კოჯორის გზაზე, ბოტანიკურ ბაღის მახლობლად, რამდენიმე შეიარაღებული კაცი თავს დასხმიან კოჯორში მიმავალს ეტლებს. პირველ ეტლში მჯდომ ორი ქალისათვის წაურთმევიათ „პორტმანი“ 50 კაპ. მეორე ეტლში მსხდომ მგზავრებს კი რევოლვერით გაუციათ პასუხი. მოსული დარაჯები დასდევნებიან მძარცველებს და დაუწყიათ თოფის სროლა. მოუკლავთ ერთი, დანარჩენნი მიმალულან ბოტანიკური ბაღის ხეობაში. მისულან პატრულები და აგრეთვე თბილისის მაზრის უფროსი გუგუშვილი. მიუხედავათ იმისა რომ არემარე დაუვლიათ მიმალულნი ვერსად უნახავთ. გუგუშვილს რამოდენიმე დარაჯები, ოქროყანაში გაუგზავნია, რომ იქიდან მოწვეული გლეხები დახმარებოდენ მძარცველების მოძებნაში, დარაჯებისათვის გზაზე ვიღაც უცნობებს თოფის სროლა აუტეხნიათ. მათაც თოფითვე უპასუხნიათ. სროლის შემდეგ მეორე დღეს, დილას ერთი მოკლული უპოვნიათ.

— ს. ქვემო ხანდაკიდან გვატყობინებენ, რომ 23 ივლისს ნაშვადღევის 3 საათზე, სამი შეიარაღებული კაცი მისულან სოფლის ბოლოს. დაუჭერიათ ერთი ბავშვი და გაუგზავნიათ სოფელში ასის თავის მოსაწვევათ, როდესაც ასის თავი მოსულა სოც.-დემ. წითელ რაზმელებს“ (ეგრე უწოდებიათ თავიანთ თავისათვის) გამოუცხადებიათ ასის თავისათვის, რომ დაუყოვნებლივ სოფ. ქვემო-ხანდაკში მცხოვრებელს ჩიქოვანებს ილიკოს და და გიგოს უნდა გადაახდევინონ 300 მან. ასის თავს ბევრი ურწმუნებია, რომ მათ მაგდენი ფული არ ექნებათო, მაგრამ მოსულებს არ დაუჯერებიათ და „სოციალ-დემოკრატების“ სახელით შეუგინებიათ ასის თავიც წასულა სოფელში და ამბავი შეუტყობინებია. არ დაუთავებია ასის თავს ამბის გადაცემა და მოლაპარაკება, რომ თვით წითელი „რაზმელებიც გამხდარან. ჩიქოვანებს როგორც კი დაუნახავთ მოსულები იმწამს სახლისათვის მიუშურებიათ, სადაც ჩაკეტილან და იარაღით ხელში თავ-დასხმის მოლოდინში ყოფილან.

ცრუ წითელი რაზმელებიც მისულან და აუტეხიათ თოფის სროლა. ჩიქოვანებსაც თოფითვე უპასუხნიათ; წითელი რაზმელები თოფის ხმაზე დამფრთხალან და მოუკურცხლავთ. ამ დროს მოსულა საშინლათ აღელვებული ხალხიც, რომელნიც შეიარაღებულან რაც ხელში მოხვედრიათ და ჩიქოვანებთან ერთად დასდევნებიან თავ-დამსხმელებს. ერთის უკანასკნელთაგანს გზა აბნევია და ამხანაგებს ჩამორჩენია. ის იყო უნდა მას ხალხი წამოსწეოდა და მოეკლა მაგრამ ორღელში შევარდნილა და იქიდან დაუწყია ხვეწნა მუდარა: ნუ მომკლავთ და ყველაფერს გეტყვითო. ხალხი მეტათ გაავრებული ყოფილა და მოკვლას ნაპირობა, მაგრამ ჩიქოვანების თხოვნით ცოცხალი დაუტოვებიათ, თუმცა კარგათ მიუტყეპიათ. დაჭერილს ერთი ამხანაგი, სულხა ნიშვილი დაუსახელებია, მეორეზე კი უთქვამს, რომ არ ვიცნობო. თვით შეპყრობილი აღმოჩენილა მაიერის წიგნთ-საკაზმავის მოხელე ალექსი პოპოვი. თავის გასამართლებლათ პოპოვს უთქვამს, რომ ამხანაგებმა უქმეებ-ს გამო ხილის სასყიდლათ წამომიყვანესო სოფლათო.

---

## სამედიატორო სამართალიც ამნაირი უნდა!!

ხუთშაბათს. 3 აგვისტოს ირაკლი ოქრომჭედლიშვილმა გაზ. „შრომის“ საექსპედიციო განყოფილების უფროსმა მუშამ მოგვიწვია თავის მხრივ სამედიატორო მოსამართლეთ მე და ამხანაგი ქარუმიძე. მეორე მხრივ იმავე განყოფილების წევრმა ალექსი ტურძულაძემ მოიწვია მედიატორებად ბ-ნი ვანო შუბაშვილი და ბ-ნი იაგორ (გვარი არ ვიცი). თავმჯდომარეთ იყო ამორჩეული იქვე შემთხვევით დამსწრე ბ-ნი იოსებ გიორგობიანი, ამავე სტამბის მუშები. საქმე შემდეგში იყო: გასულ მარტში საექსპედიციო განყოფილების მუშა ალექსი ტურძულაძემ ავადმყოფობის გამო დათხოვა შინ ამხანაგებს 1—2 თვით (2 კვირა სტამბის პატრონთან პირობით, 2 კვირაც თავის ამხანაგ მუშების თანხმობით).

წასვლის უწინ, **ბ-ნმა ალექსიმ დაიჭირა საქმე არა თავის განყოფილების ამხანაგებთან**, როგორც ამას მოითხოვდა ამხანაგური და პატიოსანი განწობილება ამხანაგებთან (და რაზედაც თითონ ირაკლიმ აღძრა ლაპარაკი ალექსის წინაშე მაგრამ ამაოდ), **არამედ კერძო პირთან სიმონ წერეთელთან**, რომელიც დაყენებულ იყო ალექსის მიერ თავის ადგილზე. მალე ამან უდროოდ მიატოვა ეს ადგილი და დარჩა ისევ რამდენიმე კვირა ეს ადგილი თავისუფალი, რადგანაც ირაკლი მოელოდა ან პასუხს იმ წერილზე, რომელიც ვითომ გაუგზავნია სიმონს ალექსისათვის, და რომლის მიღებას უარყოფს თითონ ალექსიც, ანუ მოელოდა ალექსის, მაგრამ არც ის არც ეს არ იყო. ამის შემდეგ ირაკლის მოუწვევია დროებით იმ ადგილზე თავის ამხანაგი გოგლა. ამ უკანასკნელს სამი კვირის შემდეგ წინადადება მიუცია ამხანაგებისათვის. თუ მიმიღებთ სამუდამოდ თქვენ საამხანაგოში, დავრჩები, თუ არა და, სხვაგან ვაპირობ დადგომასაო (აძლევდენ ადგილს „გუტენბერგის“ სტამბაში). მაშინ ამ განყოფილების 5 კაცმა მოახდინა კრება და გადაწყვიტეს მიეღოთ თავის ამხანაგათ გოგლა. სწორეთ მეორე დღეს ჩამოსულა ალექსი და რომ დაუნახავს ეს ადგილი დაჭერილი ფსამართლოთ უცვნია და სამედიატორო სამართალში გამოიწვია ირაკლი.

---

# ფელეტონი

## ანარქიზმის მოკლე სისტემა

(ე. მალატესტასი)

### საუბარი მეათე.

(დასასრული *).

II

**გიორგი.** სად ხედავთ თქვენ იმ ზნეობას რომლის დაკარვაც ასე გეშინიათ? რბილი კავშირი, სიცრუე ყოველნაირი, ფარული შურიანობა, ქმრები, რომლებიც ჰკლავენ თავიანთ ცოლებს, ცოლები, რომლებიც სწამლავენ თავიანთ ქმრებს, ბავშვთა მკვლელობა, ბავშვები, ოჯახის წევრთა შორის შხუბში აღზრდილნი... აი ნაყოფი ბურჟუაზიულ ოჯახურ დაწესებულებისა.

*) იხილე „მუშა“ ნომერი 18.

თანამედროვე საზოგადოება არის საზოგადო სახლი, სადაც დედაკაცები, რომ სიშილით არ დაიხოცნონ, იძულებულნი ხდებიან გაროსკიპდნენ ან დაქორწილდნენ საზრდოსაცხოვრებლისათვის. მიანიჭეთ ყველას მატერიალურად უზრუნველყოფილი და დამოუკიდებელი ცხოვრება, მიანიჭეთ დედაკაცს სრული თავისუფლება, ისე მოიქცეს როგორც უნდა, მოსპეთ სარწმუნოებრივი და სხვა ცრუმორწმუნოებები, რომლებიც ხშირად ხელს უწყობენ დედა-კაცთა და მამა-კაცთა შორის დამოკიდებულებათა განსხვავებას, და დამოკიდებულება მათი საერთო სურვილის გამომხატველი იქნება.

**ამბროაზ.** ერთის სიტყვით თქვენ მომხრე ხართ მუდმივ ან დროებით კავშირისა?

**გიორგი.** გიმეორებ, ჩვენ გვსურს ერთი: თავისუფლება გრძნობას, და მისი ესა თუ ის სურვილები ეხება მხოლოდ დაინტერესებულ პირებს.

აქამდის, ყოველ დროში, და ყველა ხალხის სქესობრივი კავშირები წარმოიშვებოდნენ ჩვეულებრივად ძალადობის ეკონომიურ აუცილებლობის, სარწმუნოებრივ ცრუმორწმუნოებისაგან.

ცხადია, იმ პირობათა მოსპობისთანავე, რომელნიც ეხლა მამაკაცთ და დედაკაცთ შორის დამოკიდებულებას ხელოვნურ ან იძულებით ხასიათს აძლევს, თავისთავად დამყარდება ის ჭეშმარიტი სქესობრივი გიგიენა და სქესობრივი მორალი, რომლებიც ინდივიდთა კეთილდღეობას ხელს უწყობს. მაგრამ ყველა შესაძლებელია სრულ თავისუფლების დროს.

**ამბროაზ.** ბავშვები?

**გიორგი.** თქვენ ეს უნდა გაიგოთ: რომ როდესაც შემოღებულ იქმნება საერთო საკუთრება მკვიდრ მორალურ და მატერიალურ საფუძველზედ, რახან დასაბუთდება საზოგადოებრივი სოლიდარობის პრინციპი, ბავშვების შენახვა მაშინ საზოგადოების მოვალეობას შეადგენს და მათ აღზრდაზე ყველა იქნება დაინტერესებული და მოვალე.

უეჭველია, ყველა დედას და მამას ეყვარება ბავშვები; და თუ, როგორც მე ვფიქრობ ზოგიერთი მშობლები, უფრო მეტის ყურადღებით იქმნებიან გადახრილი თავის შვილებისადმი, იმ შემთხვევაში იმათ კიდეც უნდა უხაროდეთ რომ მათი შვილების აღზრდას მთელი საზოგადოება კისრულობს.

**ამბროაზ.** მაგრამ თქვენ, ღებულობთ მხედველობაში მშობელთა უფლებას მათ შვილებზე?

**გიორგი.** მშობელთა უფლება ბავშვებზე წარმოადგენს სხვა-და-სხვა ვალდებულებას; იმას აქვს, მათი წინამძღოლების უფლება, ვინაც, მათზე ზრუნავს და ვისაც ისინი უყვარს, და ვინც ამ საგანზე უფრო მეტს ზრუნავს. და რადგანაც მშობლებს უფრო უყვარსთ თავისი შვილები, ამიტომ მათაც ეძლევა ფართო უფლება, მათის წინამძღოლობისა და მზრუნველობისა. მაგალითად ამ კითხვაში არავითარი უთანხმოება არ მოხდება, იმიტომ რომ, თუ რომელიმე ზნოებრივად დაცემული

აქედან ნათლათ სჩანს ამხანაგებო რომ ზნეობრივი და იურიდიული პასუხის მგებლობა სულ მთლად მოეკითხებოდა სიმონ წერეთელს და არა ბ. ირაკლის და მის ამხანაგებს, რომელსაც უნდობლობის და სხვა მიზეზის გამო არ მიმართა ბ. ალექსიმ კერძოთ ამ შემთხვევაში; ზნეობრივი დანაშაულობა ადამიანისა გამოიხატებოდა პატიოსან სიტყვის დარღვევაში და **რადგანაც არავითარი სიტყვა არავის მხრივ არ იყო მიცემული, მაშასადამე არავითარი ზნეობრივი დანაშაულობა არ მიუძღოდა კერძოთ ამხანაგ ირაკლის და საზოგადოდ მის ამხანაგებს.**

ამიტომაც უსაფუძვლო იყო ვანო შუბაშვილის მხრივ დაყენება, რომ „ირაკლი როგორც იურიდიულად, ისე მომეტებულად ზნეობრივად არის დამნაშავეთ, ირაკლი ვალდებული იყო მიეწერა წერილი ალექსისათვის და რადგანაც ამან არ მისწერა დიდი დანაშაულობა ჩაიდინა“. არ ვიცი რა აპეკუნობა სჭირდებოდა ალექსის? ნუ თუ თავის საქმეზე თითონვე არ უნდა ცდილიყო? ეს ის გამოდის რომ ვინმე პეტრე ჩემს მაგივრად ვალდებული იყოს ადგილი შემინახოს სადმე ჩემთვის.

მაშასადამე ზნეობრივის მხრივ, ირაკლი და მისი ამხანაგნი ვიცანით სრულიად მართალნი, მხოლოდ რაც შეეხება იურიდიულ მხრივ აქ ცოტა ეჭვი შეგვეპარა მე და ჩემ ამხანაგსაც. შეიძლება ქარხნის კანონის თანახმათ ესენი დამნაშავენი ყოფილიყვნენ. შევეკითხეთ ამის შესახებ მედიატორეებს, როგორც იქაურ მუშებს და გვითხრეს რომ, როგორც ბიურო ისე სტამბის გამგე ვალდებულნი არიან ყოველ კავშირის წევრს ადგილი შეუნახონ ექვსი თვის განმავლობაში.

ჩვენც ვენდეთ ამ პატიოსან სიტყვებს მედიატორებისას და ამაზედ დაფუძნებული გამოვიტანეთ შემდეგი რეზოლიუცია: „მივიღეთ რა მხედველობაში, რომ საექსპედიციო განყოფილების წევრებმა დაარღვიეს კავშირის ერთ-ერთი მუხლი და უკანონოდ დაადგინეს ძველი მუშის მაგივრათ მის ადგილზე, ახალი მუშის მიღება დავავალეთ ყველა წევრებს საექსპედიციო განყოფილებისას, შეენახათ დროებით და ეძლიათ ჯამაგირი ორივე მუშებს ალექსისა და გოგლასათვის ვიდრე ერთ-ერთს, რომლისთვინაც ეიხონ მოისურვებდენ, არ უშოვიდენ რომელიმე ადგილს ან იქვე სტამბაში ან სტამბის გარეთ. მხოლოდ ზნეობრივის მხრით ირაკლი და მისი ამხანაგები უდანაშაულოთ იყვნენ ცნობილნი.

მიუხედავად ამისა რაღაც მანქანებით და ხრიკებით (უთუოთ მუქარით და სხვ.) ბ-ნი ვანო შუბაშვილი ახერხებს იმ ახალ მიღებულ მუშის გოგლას, სხვა პარტიის წევრის განდევნას ამ სტამბიდან, და ეხლა შუბაშვილის წყალობით ეს მუშა ქუჩაში უნდა გააგდონ მშიერ-მწყურვალი!

არა, ეს უსამართლობაა!

ვანო შუბაშვილი უკიჟინებს უზნეობას სხვებს და ბრალდების ოქმი გამოაქვს, მაშინ როდესაც ამასთანავე სენით თითონ არის ავადმყოფი: უზნეო კაცი სხვას უზნეობაში ბრალს ვერ დასდებს. აი საბუთიც მისი უზნეობისა: მაშინ როდესაც მე და ამხანაგი ქარუმიძე შევეკითხეთ ქარხნის წესდების შესახებ იმათ დაგვარწმუნეს ჩვენ ჩვენც არ შეგვეძლო ნდობა არ გამოგვეცხადებინა მათთვის რომ ეს ზემოხსენებული დებულება ქარხნისა ვრცელდება ყოველ სტამბის მუშაზე.

ყველა კარგი, მაგრამ რათ დაგვიმალეს შენიშვნა პირველი მუხლის კავშირის წესდებისა, სადაც ნათქვამია: **კავშირში არ შედიან გაზეთების დამტარებელნი ექსპედიტორები და აგრეთვე რედაქციის და სტამბის კონტორის მოსამსახურენი.** ეს განა განზრახვით არ იყო დამალული (ზნეობა?) რომ თავისი მიდგომით გაემტყუნებიათ სავსებით ერთი მხარე, რომელიც მათ პარტიას არ ეკუთვნის ჩემის აზრით მიზეზი ბრალდების ოქმის გამოტანისა მხოლოდ ის იყო, რომ ირაკლი და ახლად მოყვანილი მუშა გოგლა არიან სხვა პარტიის წევრნი.

აი ეს ფაქტი კიდევ ამტკიცებს რას ნიშნავს უმცირესობის მორჩილება უმრავლესობის წინაშე ამ უმცირესობამ ან უნდა განიმეოროს შეცდომა უმრავლესობისა, ანუ თუ დარჩა განზე უმნიშვნელოა საქმისთვის.

ამიტომაც ჩემის აზრით უარვყოფ იმ ზემოხსენებულ რეზოლიუციას და ამით სრული ზნეობრივი და იურიდიული უფლება ეძლევათ ირაკლის და და მის ამხანაგებს არ დაემორჩილონ ამ გადაწყვეტილებას და ხელახალად აირჩიონ მედიატორეები ბა თუ მოისურვებენ.

მიხეილ დიასამიძე.

---

# პროვინცია

**დაბა ლანჩხუთი.** (ოზურგეთის მაზრა), სხვა დაბებთან შედარებით, ლანჩხუთი ყველაზე ხელუხლებელია და უცხო კაცმა რომ ნახოს, თუ კაზაკები არ დაინახა იფიქრებს—აქ რეაქციას ფეხიც არ შეუდგამსო. ხალხი ძველებურად გულმაგარი და ცოცხალია. გურულების სიმამაცეში და სულის სიძლიერეში არასოდეს ეჭვი არა მქონია, მაგრამ ახლანდელმა მათმა ენერგიულმა მოქმედებამ ყოველსავე მოლოდინს გადააჭარბა. თუმცა ფარულად, მაგრამ ჩვეულებრივად იმართება მიტინგები. ქალი, კაცი, ხელში აყვანილი პატარა ბავშვებით მიიჩქარიან დანიშნულ ადგილისაკენ; მსჯელობენ, ბაასობენ, ასამართლებენ დამნაშავეთ და ასე ამგვარად მიჰყავთ თავიანთი საქმე. კრიტიკულის თვალით რომ შევხედოთ აქაურს ცხოვრებას, ფაქტიურად მართვა გამგეობა ისევ ხალხის ხელშია. იშვიათად, ისიც პოლიციისაგანვე იძულებით თუ ვინმე მიმართავს ბოქაულს. ყველა მთავრობის მოხელენი უსაქმოდ ბრძანდებიან. მეტად საინტერესოა აქაური „ახალ მოდის“ ჯაშუშები. დაინიშნება თუ არა სადმე კრება ან მიტინგი, ესენი, იმის შიშით, რომ პროფესიონალურმა ჯაშუშებმა არ შეატყონ და მართალი ადგილი კრებისა არ უჩვენონ, მიდიან პოლიციაში და ატყობინებენ, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ ადგილს უნიშნავენ სულ—სხვას და გზა-კვალს ურევენ. პოლიცია და კაზაკები, გახარებულნი იმით, რომ საქმე გაუჩნდათ, მოახტებიან ცხენებს, მოედებიან რიონის პირად ჭალებს, დაძრწიან კლდე-ღრეებში და, ბოლოს, ცხენიან კაციანათ ქანც-გალეულნი, განბილებულნი ბრუნდებიან სახლში. კაზაკები მეტის-მეტად თავ-გასულები არიან და ყოველ წუთში ცდილობენ თავიანთი საზიზღარი მოქმედებით და ქცევით ხალხი გამოიწვიონ. კაზაკები შედიან დუქნებში, ითვრებიან, ფულს არ იხდიან და რასაც წაახელებენ—იპარავენ. ხმა თუ ვინმემ გასცა, ატყდება ჩხუბი, ცემა-ტყეპა, მაგრამ ხალხის მხრიი. ხელის შებრუნებას ვერავინ ბედავს—ეშინიანთ დაწვისა

---

მამა ვერ მოუვლის თვითონ თავის ბავშვებს მაშინ ის მაიც კმაყოფილი იქმნება იმით რომ მისი შვილების მზრუნველობას კი სძულობს საზოგადოება და ის თავისუფალი რჩება მათი აღზრდისაგან.

და თუ სიტყვები „მამის უფლება“, თქვენ ისე გესმით როგორც, მამისაგან ცუდი მოპყრობა ბავშვისადმი, და როგორც ექსპლოატაცია ფიზიკურ ზნეობრივად მე სავსებით უვარვყოფ ასეთ უფლებას და დარწმუნებულით ვარ, რომ საზოგადობა ამას არ მოითმენს.

**ამბრუაზ.** განა არ ფიქრობთ თქვენ იმას რომ, თუ ბავშვების შენახვა და აღზრდა, საზოგადოებაზე იქმნება დამყარებელი, მაშინ ისეთ გამრავლდება ხალხი, რომ ყოველივე საშვალება მოსწყდება მათ შესანახად? და ამასთან ერთად თქვენ ყურსაც არ უგდებთ მალტუზიანიზმს და მას აბსურდს უწოდებთ!

**გიორგი.** მე თქვენ გითხარით მაშინ რომ ეს აბსურდი არის მეთქი როდესაც კაცი ფიქრობს აუცილებელი ბავშვთა შობას მალტუზინური მეთოდით მოუღოს ბოლო. თუმცა პრინციპიალურად მე არ უარვყოფ იმას, რომ, როდესაც ბავშვების შენახვა და აღზრდა უზრუნველ ყოფილი იქმნება, მაშინ მც ოჯახებთა ზედმეტობა ხელს შეუშლის, საზოგადოებრივ კეთილ დღეობას. მაგრამ ეს კითხვა მე სრულიადაც არ მაწუხებს: თავისუფალი და განათლებული კაცობრიობა, მოიგონებენ, როდესაც ეს საჭირო იქნება, როგორ შეაჩერონ ასეთი გამრავლება ხალხისა; მაგრამ მე ამასაც ვამბობ, რომ, დაფიქრება ამ საგანზედ მათ მაშინ, დასჭირდებათ, როდესაც მოისპობა ყოველივე უპირატესობანი, ყველა შეფერხებანი, შექმნილი მესაკუთრეთა გაუმაძღრობით თანამედროვე წარმოების განვითარებისათვის. გაჰქრებიან თუ არა, ყველა სოციალური მიზეზები დღევანდელი სიღარიბისა, მაშინ მცხოვრებთა რაოდენობის შეთანხმება, შექმნილ საქონელთან და სივრცესთან, რომელიც უეჭველად სასარგებლო იქმნება, მცხოვრებთათვის, გარდაიქცევა ნამდვილ ელემენტარულ ჭეშმარიტებად.

**ამბრუაზ.** მაშინ, თუ ხალხი არ მოინდომებს ამაზე დაფიქრებას?

**გიორგ.** აშინ, მით უფრო უარესია მათთვის.

თქვენ არ გსურთ, გაიგოთ რომ არავითარი ღვთაებრივი მოჩვენება არ არსებობს, რომელიც ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნავდეს, ხალხმა თვით უნდა იზრუნოს თავის თავზე და გამოარკვიოს, რაში მდგომარეობს ბედნიერება და თვითონ უნდა ეცადოს, რომ მასთან მიაღწიოს.

თქვენ ხშირად იმეორებთ თუ ისინი არ მოინდომებენ იმ შემთხვევაში ისინი ვერაფერს მიაღწევენ და სამუდამოდ იქმნებიან მსხვერპლი მისი მოწინააღმდეგე ძალისა.

ორში ერთი: ან ხალხმა არ იცის როგორ მოიქცეს, რომ თავისუფალი გახდეს, ანდა მათ ციან ყველა ეს, და არ უნდათ ის გააკეთონ, რაც საჭიროა.

ერთსა და მეორე შემთხვევაში ისინი მონებად რჩებიან.

მაგრამ ჩვენ გვსურს, რომ უვიცმა გაიგოს, და გაგებულმა მოინდომოს ამის განხორციელება, იმაზედ უფრო ადრე, როგორც თქვენ ამას მოელით.

მაშინ კი დაეცემა თქვენი თვითნებობის სამეფო და ქვეყანაზე ამობრწყინდება თავისუფლების ცისკარი.

კოწია ჯ—ია.

და განადგურებისა. ამისთანა მაგალითი მრავალი მიამბეს. ერთი აქაურ მდიდრის ბოსელში შესულა კაზაკი და მოუნდომებია ძროხის მოპარვა. დაუჭერია ძროხა, მოუხსნია თავისი ქამარი ხანჯლით და მოუბამს რქებზე. ამ დროს მიცვივნულან ძაღლები და აუტეხნიათ საშინელი ყეფა. ძაღლების ყეფაზე პატრონსაც გაუღვიძნია და დაუწყია ყვირილი. შეშინებული კაზაკი გაქცეულა, ხოლო ქამარ-ხანჯალი ძროხას რქებზე შერჩენია. მეორე დღეს დაუწყიათ გამოძიება. ქამარ-ხანჯალი, რასაკვირველია ყველამ იცნო, მაგრამ კაზაკებმა კი უარი განაცხადეს: „ეს ჩვენი არ არის, ჩვენსას პოლკის ბეჭედი აზისო“, პატრონი ძალა-უნებურად დაჩუმებულა და თავისი სიბრაზე ამ ოხუნჯობაში გაუტარებია: „მართალია მე ამხსნეს იარაღი, მაგრამ სამაგიეროთ ჩემი ძროხა შეიარაღეს“-ო. ამგვარს წამებაშია ლანჩხუთის მცხოვრებნი, მაგრამ მათში რევოლიუციონური ცეცხლი მაინც არ ჩამქრალა. პირიქით უფრო ღვივის და ბევრი შეკეთებაც არ უნდა რომ სრულიად იფეთქოს. საერთოდ არავინ სჩივის, მხოლოდ აქა-იქ თუ ჩააცივდები და გამოჰკითხავთ, იჩივლებს ჯარის თავგასულობას და თანაც დასძენს: „არაფერია, მაგ საწყლებსაც დღე ელევა; ჩვენი დროც მალე დადგება!“ საქებია ასეთი სულგრძელობა და მოთმინება!

სოციალ-დემოკრატების დემაგოგობა თანდათან თვალსაჩინო ხდება. ისინი განსაკუთრებით სოფლად, იმ თავითვე ფარავდნენ თავიანთ ფიზიონომიას და მუშა-გლეხს სავსებით არ უხსნიდენ თავიანთ პროგრამას, რასაკვირველია იმის შიშით, რომ სოფლელი მიწის მესაკუთრე გლეხი არ ჩამოშორებოდა და არ გადასულიყო სხვა, მისთვის უფრო სასარგებლო, პარტიაში. ამ მიზნით იმათ მხოლოდ ზეზეურად აუხსნეს პროგრამა და უმთავრესი კი, მესაკუთრე გლეხის გაპროლეტარება საბოლოოთ გადასდვეს. ამ რიგათ, სისტემატიურის განმეორებით ერთისა და იმავესი, გლეხს ჩაუბეჭდეს თავში მხოლოდ სიტყვა „სოციალ-დემოკრატი“ და რაში გამოიხატება ეს სიტყვა, ან საით მიისწრაფვის ეს მოძღვრება ამის ასახსნელად არავინ თავი არ შეიწუხა. მაგრამ გურული კაცის გონება იმდენად მკვირცხლია, რომ მიუხედავად იმისა, რომ სოც.-დემ. საკუთარის ორგანოს გარდა სხვა გაზეთების კითხვას უკრძალავენ, ის მაინც თავისთავად მიხვდება, თუ მისი ბუნება საითკენ მიისწრაფვის და რომელ წესწყობილებას უფრო შეეფერება. ერთმა გლეხმა სხვათა შორის შემდეგი განაცხადა: „მე ანარქისტი ვყოფილვარ და აქამდის არ ვიცოდი, არც მთავრობა მინდა, არც მღვდელი არც ეკლესია და არც კერძო საკუთრება. აქამდის მეუბნებოდნენ—სოციალ-დემოკრატი ხარო და მეც მეგონა... როცა ვინმე მკითხავდა—თავმომწონეთ ვეუბნებოდი—სოციალ-დემოკრატი ვარ მეთქი, მაგრამ ახლა-კი ამას აღარ ვიტყვი.“ ამას ამბობს სრულიად შეუგნებელი გლეხი. ამ მოკლე ხანში ბევრი ვნახე გაანარქისტებული შეგნებული სოციალ-დემოკრატი და იმედი მაქვს კიდევ ბევრს ვნახავ.

რავინ

(შემდეგი იქნება).

—

**დ. ყვირილა.** უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო რომ იტყვიან ჩვენ გვჭირს ყვირილელებს.

— არა, ჯერ იყო და ცეცხლითა და მახვილით აგვაწიოკეს, ქვა-ქვაზედ აღარ დასტოვეს... მას მოჰყვა რეაქციის ბასრი კლანჭები, აფიცრების და სალდათების ნებიერობა; ათი წლის ქალს გარეთ არ გამოსვლებოდა... ცოტა დაწყნარდენ; ჯარი წავიდ წამოვიდა; თურმე ნუ იტყვი დესერტი ახლოს იყო. დაგვინიშნეს სრულებით „გამოუცდელი“, აღდგომის ბატკანი **ბ. მახარაძე** ბოქაულად. ჯერ სადაც იყო, ცამდის აჰყავდნენ ქება-დიდებით და ეხლა აქ ჩვენ უნდა უკმიოთ გუნდრუკი... დაგვიგვიანდა, ვერ უპართეთ შეჩვეული ნადიმები,—რაო! როგორო! მე თქვენ გიჩვენებთ ვინ ვბრძანდები მეო? იქით ეცა—აქეთ ეცა, ასე ყაძახი, სამოცი სტრაჟნიკი შემოისია, და დიდის ამბით გაექანა **სოფ. ჩხარში,** მივიდა თუ არა, ბევრი არ ულაპ რაკნია, არავისთვისაც არ შეუხედავს, მხოლოდ თავის აგენტს გადახედა რომელმაც თვალით ანიშნა,—იქაო! .. ის იყო და ის. გაჩნდა ცეცხლი; დაიწყეს მტვრევა და დიდის სეიმით გაანადგურეს ორი მაღაზია... სწორედ მისწრება იყო აგენტებისათვის „ხანგრძლივი“ დასვენების შემდეგ... როგორ იმოქმედა ჩვენზე შენ უწყოდე მკითხველო... მეორე დღეს სადგურზე, ჟანდარმმა ერთი ყმაწვილი ჩამოიყვანა მატარებლიდგან, ჩაკითხვის შემდეგ—გაუშვა. ეს არ ესიამოვნა იქვე მყოფ ბ. სტრაჟნიკს და გამოეკიდა, ყმაწვილი შეშინდა, გაიქცა, მირბის—მისდევს, თან უყვირის, გესვრი—გაჩერდიო, ყმაწვილი დაეცა, სტრაჟნიკი მივარდა; ჯერ როგორც ჩვეული იყო მასაჟი გაუკეთა თოფის კონდახით, ისედაც დაქანცულ-დავარდნილ ენა ჩაუვარდა; მიეშველენ თოფიანები და წაასვენეს სატუსაღოში... ისე აქეთ თვალეში ყველა სტრაჟნიკებს ასე გეგონება—ჩვენ ვმეფობთო..

— ვიღაც ბავშვს, ამბავი მოიტანა, და წამოსცდა:—ბ. მახარაძე, ქართველი კი არა ნამდვილი მთიულიაო; ამის გამგონე სტრაჟნიკმა, არც აცივა და არც აცხელა; თოფი არ ქონდა, გავარდა შინისაკენ... გაჩნდენ ათნი და მთელი დღე იმ ბავშვს ეძებდენ... თურმე ნუ იტყვით რა ბრძანება გვმოუცია ბ. მახარაძეს,—თუ ერთი სტრაჟნიკი ან პოლიციის აგენტი მოკლეს—სამი სოფელი ააწიოკეთო, თუ მე მომკლეს, არ დაიშუროთ არც ერთი ადგილი, გამცემელ-გამომცემლები, მოჰკალითო, აწვალეთ სანამ მე მეორედ არ მოვიდეო.. ისიც დასძინა, აბაშაში პრისტავი მოჰკლეს—სამაგიეროდ ათი გაისტუმრესო... როგორ! ერთი პრისტავი და ათი კაცი... არა, ეს შეუძლებელია, ჩემს შემდეგ ქვა-ქვაზე არ დასტოვოთ, ჯოჯოხეთი აქვე ანახვეთო... სტრაჟნიკებსაც ეს უნდოდათ, დათარეშობენ და როგორც სურთ ისე იქცევიან; მათთვის არაფერი არ სჯობს ძარცვა გლეჯის მეტი...

ეხ! დრონი მეფობენ...

ვ. უწყინარიძე

# რუსეთი

—

მუშებთა შორის არსდება ახალი კავშირი, რომლის მიზანია ბრძოლა შავ-რაზმელებთა წინააღმდეგ.

XX ვეკ.

—

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაუგზავნა ცირკულიარები გუბერნატორებს, რომ სამი დღის განმავლობაში აუწყონ სამინისტროს, თუ რა მდგომარეობაშია მაზრებში აგრარული მოძრაობა. XX ვეკ).

—

კრონშტატში უკანასკნელ მომხდარ ამბების გამო, 65 საზღვაო ოფიცრებმა შეიტანეს თხოვნა, სამსახურ იდგან გადადგომის შესახებ.

(XX ვეკ.)

—

როგორც „XX ვეკ.“-ს შეუტყვია „რუსეთის დეპეშათა სააგენტო“ რომელიც სპობს თავის საქმეებს, იმის მაგიერ არსდება ახალი დეპეშათა სააგენტო. მეთაურებად არიან ყოფილი დირექტორი რუსეთის სააგენტოსი და მიწად-მოქმედების მართველობის მოხელე შულცი.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსი)

—

**ტაგანროგი** კერჩის ვიწრო ქუჩაში 2 უცნობმა პირმა დასჭრეს უბნის ზედამხედველი რერერვუსი, ერთი მათგანი დაიჭირეს,

**კოპენჰაგენი.** როგორც ხმები დადის, ჩინეთის მთავრობამ მიმართა დანიის გარეშე საქმეთა სამინისტროს წინადადებით, რომ 15 ოფიცერი — ინსტრუკტორი გაუგზავნოს.

**ხარკოვი.** რუსეთის სატრანსპორტო საზოგადოების კანტორიდგან შეიარაღებულებმა გაიტაცეს ოთხი ათასი მანეთი და მიმალნენ.

**პეტერბურგი** „სტრანა“ იუწყება, რომ პოლონეთში აპირობენ შემოიღონ სომარ წესების მაგიერ, საალყო წესები.

— ყოფილი დირექტორი პოლიციის დეპარტამენტისა ლოპუხინი სტოვებს სამსახურს, და როგორც ხმები დადის შედის ნავიც ვექილთა კორპარაციაში.

ერთ კანდუკტორის სიტყვით, იმ მატარებლისა საიდანაც გაიქცა ბელენცოვი, გოროშინო და ნოვოსელოვის სადგურების შორის, მოითხოვა ფეხსადგილში შესვლა, რომელიც გაუშვეს ყარაულის თანხლებით, მატარებელი აღმართის გამო, მიდიოდა ნელად. გელენცოვმა დაჰკეტა კარი ფეხსალაგისა, გააღო ფანჯარა და გადახტა. სინამ გაალებდნენ კარებს, გავიდა ხუთი წუთი, მაგრამ დიდი ძებნის შემდეგ, მაინც ვერ იპოვნეს.

**ვარშავა.** განზრახვა ვარშავის გენერალ-გუბერნატორის მოკვლისა, წინა დღეებში იყო გადაწყვეტილი გერმანიის კონსულთან მივიდა უცნობი პირი, ოფიცრის ტან საცმელში გამოწყობილი და შეურაცყოფა მიაყენა მას. გენერალ გუბერნატორი ამის გულისათვის წავიდა კონსულთან, რაზედაც ბოროტ მოქმედებმა ჩასთვალეს **ოსახერხებლი** დრო მის მოკვლისა.

— დღეს 22 პირი დასჭრეს თოფით და ერთი მოჰკლეს.

— ტოლისკი ქუჩაზედ ნასროლ წუმბარამ მძიმედ დასჭრა ქალი.

**ლოძი.** ვევნოვსკის ქუჩაზედ დასჭრეს თოფით ვაინი. როჩინსკი ქუჩაში მოჰკლეს უცნობი პირი, როგორც ჰფიქრობენ უნდა იყოს ჯაშუში.

**ტაგანროგი.** უცნობმა პირებმა დასჭრეს უბნის ზედამხედველი ნეჟივოი.

**უმანი.** დააპატიმრეს ყოფილი დეპუტატი ფრენკელი და გაგზავნეს ციხეში.

**ბერლინი.** გრაფი ვიტტე მისი მეუღლეთი მიიწვია იმპერატორ ვილჰემმა.

**კრონშტატი.** 114 ჯარის კაცს, 10 მატროსს და 3 გარეშე პირს გადაუწყვიტეს დახვრეტა, სხვებს კი კატორღაში გაგზავნა სხვა და სხვა ვადით.

**ეკატერინოსლავი.** საავადმყოფოდან გაქცეული ანარქისტი გოლმანი შეიპყრეს ამურში. დაჭერის დროს დაიჭრა პოლიციელი.

**მოსკოვი.** ვინდავის რკინის გზაზედ საქონლის მატარებელს დაეცნენ შეიარაღებული ბოროტ მოქმედნი. გასტეხეს 4 ვაგონი და გადმოყარეს 17 ბოჩკა ერბო, დაინახეს თუ არა მომავალი მატარებელი მიმალნენ.

—

რედაქტორ გამომცემელი

მიხეილ ღიასამიძე

ელექტრონის სტამბა „გუტენბერგისა“, სსახლის ქუჩა, სახლი ქარ. თავ.-აზნაურობისა.

მუშის განთავისუფლება
თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს,
ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

# მუშა

| 1 წ. | 6 თ. | 3 თ. | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|
| მ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | |
| 5 | 2 50 | 1 25 | — 50 | თფილისში. |
| 6 | 3 — | 1 50 | — 60 | თბილ. გარ. |
| 10 | 5 — | 3 — | 1 — | საზღ. გარ. |

სოფელ ორლოვკაში დააპატიმრეს ყოფილი წევრი სახელმწიფო სათათბიროსი პრიტულა. რუსეთ ჩინეთის ბანკიდგან, ყალბი დოკუმენტით მიიღეს 20, 000 მანეთი. ვლზაიროში მომხდარ მიწის ძვრით დაიღუპა მრავალი ხალხი.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10—ს. 2 ს.; საღამოს 5 ს. 7 საათ. ა დ რ ე ს ი: თავ.-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა., № 117.

№ 52

ოთხშაბათი, 9 აგვისტო, 1906 წ. თბილისი

№ 52

## მელექსეთა საყურადღებოდ

რადგან კარგი ლექსები ყველა უკვე დაიბეჭდა, ახალი კი ან ძველის გამეორება იქმნება, ან დამახინჯება, ამიტომ ლექსებს არ ვბეჭდავთ.

## ვთხოვთ

ამ ამხანაგს, რომელმაც პელუტიეს „შრომის ბირჟების ისტორია“ და კროპოტკინის „მეამბოხის წერილები“ წაიღო, გამოგვიგზავნონ დაუყოვნებლივ, ან შეგვატყობინოს დაუყოვნებლივ, ვის გამოატანა და მაშინ ჩვენ მივიღებთ ისეთ ზომას, რომელიც სამუდამოთ დაუკარგავს ამ უკანასკნელს ამხანაგის გაგლეჯის მადას.

P. S. თუ მართალი პასუხი ვერ მივიღეთ წიგნის წამღები ამხანაგიდგან, ჩვენ იძულებული ვიქნებით მის ამხანაგობას სხვა თვალით შევხედოთ.

### გრიგალის წინ.

Эй, Господи, гряди, гряди скорѣй.

III

სიჩუმეა, მაგრამ ეს ის სიჩუმეა, რომელიც გრიგალს, ქარტეხილის წინ უძღვის. შიშის თავზარ დამცემი სიჩუმეა. სიჩუმეა გარედ, მაგრამ ხალხის გულში კი ჯოჯოხეთი ტრიალებს. ჯერ კიდევ არ ისმის იქიდგან რისხვის ჭექა, ჯერ კიდევ სიჩუმის კოშმარი გვიკლავს გულს. მაგრამ საშინელი წამი შორს აღარ უნდა იყოს: ჰაერი გაჟღენთილია ელექტრონით, მძიმე დამხუთავი, ერთ-ფეროვანი ღრუბელი დასწოლია დედამიწას, რომლის ქვევიდან საშინელი კატასტროფის მომასწავებელი გუგუნი მოისმის. აქა-იქ, ვით წინამორბედი, ცეცხლის ენები მოსჩანან. ხან ქრებიან, ხან ისევ და ისევ იჩენენ თავს. ტყე განსაცდელის მომლოდინე გულსაკლავად ზუზუნებს, ყველაფერს თავი დაუხრია, ყველაფერი დაღვრემილა: გეგონებათ განჩინების მომლოდინე ყოველივე სულით სტკდება. მოუთმენლობის ნიშნება ნათლად იჩენს თავს, კატასტროფის მომასწავებელი სიჩუმე უფრო და უფრო აუტანელი ხდება. მიმავალი ზამთარი უკანასკნელი სუსხით გვიმასპინძლდება. მიმავალი ბოროტი სული სცდილობს მომავალ თავისუფლებას შობის დღე გაუმწაროს და მის მშობელს ჯალათებურად უკაწრავს გულს. მალე ქარტეხილი ატყდება, მაგრამ ჯერ კი გლოვისა, და ტანჯვის ხმები მოისმის.

* * *

ძველ რეჟიმის დამმარხველთა დროშა მაღლად არის აწეული და გამწარებულთა ლაშქარი თავს იყრის ამ წმინდა დროშის ქვეშ. სხვა გზა არ არის. ხალხი უკან იხედავს — სანუგეშო არაფერია: შიმშილი და მონება, დღევანდელ დღეს ითვალისწინებს და კიდევ ის არა სასურველი სურათი ეხატება წინ: შიმშილი და მონობა. მხოლოდ მომავალი, რომელიც მოსჩანს ღრუბელს იქით ნათელია. ამ ნათელ მომავალს წინ გრიგალი უძღვის, ხალხმაც ეს გრიგალი უნდა გაიაროს სანამ ნათელ მომავალს მიაღწევდეს მაგრამ სანამ გრიგალს მიაღწევდეს კიდევ ბევრი გაჭირვებაა გასავლელი, ბევრი შხამის ფიალაა დასაცლელი. გაჭირვება და უბედურებაა, რომ მიგვრეკავს საშინელი სისასტიკით ამ გრიგალისაკენ. ჩვენ გრიგალისაკენ მივდივართ, — გრიგალი ჩვენკენ მოდის.

* * *

ჯიბრი რეაქციასა და რევოლიუციის შორის სასტიკდება. დღე და ლეული ბოროტი სული ვაებას აღრმავებს, ტანჯვის მორევით ჩანთქმას გვექადის. ხალხის მისწრაფებათა დასახჩობად ხალხსვე ტყავს აძრობს, ადამიანის დამცირებას საზღვარი არ აქვს: საქმე იქამდის მივიდა, რომ სრული შეგნების მქონე ვაჟკაცნი ყოველ სახსარს მოკლებულნი, სიცოცხლის გზა დახშობილნი და სიცოცხლისა მომსურნი, რომ ერთი ზნეობრივათ და ფიზიკურად მომაკვდინებელ სიკვდილს — შიმშილს — რომ გადაურჩნენ მეორე გახრწნილების და ზნეობრივი სიკვდილის ხელში ვარდებიან: თავიანთ ცოლებს თვითვე აგირავებენ საროსკიპო სახლებში გროშებისათვის*) ასეთი საშინელების ავტორი, შემქნელი და მასაზრდოვე, — ჩვენი გახრწნილების რეჟიმი — კი ჯერ ცოცხალია, მაგრამ მის დანაშაულებათა სიმძიმე მატულობს ყოველ დღე, მალე ის აუტანელი გახდება და მონობის უსაზიზღრეს გამოხატულობას — თვით მპყრობლებს — დასცემს და დაჟლეტს ის.

დედამიწა გულშემატკივართ დედა ჩვენი ხალხისა, მისი ერთგული მოსაზრდოვე გადამწვარი და გადაბუგული რეაქციის მიერ წრეულს არაფერს მისცემს მის შემყურე, ის ბურჯებით აღზრდილ ხალხს და დამშეული ბრბო მოედება მთელს რუსეთს შემაძრწუნებელ არმიად.

მთავრობის უსირცხვილობამ და გახრწნილებამაც თავის მწვერვალს მიაღწია: ყვლეფს და სჩაგრავს, სისხლსა და ცრემლს ერთმანეთში არეულს ადენს დაბეჩავებულ ხალხს, ანგრევს მის ოჯახს და ჰკლავს ზნეობრივად მას როგორც ადამიანს მის ადამიანურ გრძნობების შელახვით, მის ცოლსა და მის ქორფა შვილებს არაყით გამხეცებულ ორდას უგდებს ხელში სატანჯველად და ნამუს ასახდელად და თან ამ გამოუთქმელ ტანჯვაში ჩაგდებულ ხალხს დასცინის: იმისთვის გამშევ, იმისთვის გჩაგრავ, იმისთვის ჟანდარმებსა, კაზაკებსა და დაქირავებულ „პოგრომშიკების“ ბილწი ფეხებით ვსთელავ შენში ყოველ ადამიანურ ღირსებას, ნამუსსა ვხდი შენ ცოლსა და ქალიშვილს, რომ შენი სიკეთე მინდა, შენზე ვზრუნავო. აი დაცინვა, დაცინვა ხალხის უბედურებაზე, რომელიც არ ეპატიება, რომელსაც ვერ აპატიებს მას ვერც ხალხი და ვერც ისტორია.

* * *

ასე, ამ საშინელი საფასით ყიდულობს რეაქცია თავის რამოდენიმე წამით არსებობას. გაივლის ეს წამები, გაივლის, რადგან იმ ცრემლით და სისხლით, რომელითაც ამ რეაქციამ რუსეთი მორწყო, იზრდება და მაგრდება რევოლიუცია. რეაქციისაგან დათესილ ტანჯვა-ვაებაში იქჩის სახალხო სარევოლიუციო პოეზია, პოეზია, ზიზღისა, სიძულვილისა და დანგრევისა, პოეზია, რომელიც მონობის დასანგრევად ამდგარ ლაშქარს გზას გაუკაფავს, წინ გაუძღვება. ყოველ ცრემლის წვეთს რეაქციისაგან ჩამოგდებულს, ყოველ სისხლის წვეთს რეაქციისაგან დანთხეულს სხეული ესხმის, მეომრად იქცევა და თვითვე რეაქციას ევლინება თავზარ დამცემ მოსისხლე მტრად. ცხადია ეს თქვენ ჰკლავთ დიდი ხანია, ათასობით და ათი ათასობით ჰკლამთ და ამწყვდევთ ხალხს 9 იანვრის შემდეგ, შეაჩერეთ რევოლიუცია? ვერა, ვერც იმით შეაჩერებთ რასაც აწი მოჰკლავთ და დაამწყვდევთ. სიკვდილი სიკვდილსა იწვევს, სიცოცხლე-სიცოცხლეს. რაც დასთესეთ ის უნდა მოიმკათ. ტალახში და სისხლში შობილი ხართ, ტალახში სისხლში ჩაგახრჩობსთ ის რევოლიუცია, რომელსაც ამაოდ ძირს უთხრით და რომელიც რაღაც ფატალური ლოღიკით უფრო და უფრო იზრდება; თქვენი რეჟიმის ძარღვები საშინლად დაბერილია, მალე ის მის შიგნით გაზრდილ საშინელ ძალას ველარ გაუძლებს და ცხრა ველმყოფელი ქარტეხილიც იფეთქებს.

Содрагнитесь, Вальтасары!

კ. ი—ი.

* ასეთი შემთხვევა იყო მაგალითად ასტრახანში.

## ახალი ამბავი

მიხეილის ქუჩაზე, აგრონოვის ფეხსაცმლის სახელოსნოების მუშებს არტ. ადამიანცს და მარკარიანცს მოუვიდათ ერთმანეთში ლაპარაკი სრულებით უბრალო საქმეზე. გაჯავრებულმა მარქარიანცმა დანით სასიკვდილოთ დასჭრა მუცელში ადამიანცი, რომელიც უკვე გარდაიცვალა. ამ მომხდრს უბედურებით თავზარ-დაცემული მკვლელი მარკარიანცი ადგილიდან არ დაძრულა. პოლიციელებმა შეიპყრეს და ორს სალდათს გადასცეს საკომენდანტო სამმართველოში მწასყვანათ. მაგრამ ვინ წარმოიდგენს იმ საშინელს ჯოჯოხეთურს ტანჯვა წვალებას რაც სალდათებმა მარკარიანცს მიხაილოვის ქუჩიდან საკომენდანტო მართველო-

ბამდის მიაყენეს! ცემა, ტყება, შტიკის დაკვრა, კონდახის დანარცხება, მუჯლუგუნების ცემა ყოველივე გამოაცდევიეს უბედურ მარქარიანცს. როცა იგი წაიქცეოდა ააყენებდენ და ორ ნაბიჯს შემდეგ კვლავ ის საცოდავობა დატრიალდებოდა. მნახველები ზოგიერთი ვერ იკავებდენ თავს და ჩერდებოდენ, მაგრამ გაცოფებული სალდათი თოფს უღერებდა „რაზაიტდის“ შეძახებით.

— ქალაქის გამგეობა სთხოვს სახლის პატრონებს თავის დროზე ე. ი. თვის გასულს გაისტუმრონ თავიანთი მეეზოვები. აგრეთვე სთხოვს იმ სახლის პატრონებსაც რომელთაც წასული თვეების ხვედრი ჯამაგირი არ მიუციათ მეეზოვეებისათვის ასეთები გადიხადონ. წინააღმდეგ შემთხვევაში გამგეობა, აბრთხილებს სახლის პატრრონებს, რომ იგი იძულებული იქნება სასამართლოს მიმართოს

— კოჯორის გზაზე 7 მარიამობისთვეს ეტლით მიმავალს არაქელ ადამოვს და მ. ხაჩატუროვს თავს დაესხნენ ორი შეიარაღებული კაცი: წაართვეს მათ თითო თუმანი და იმ ტყეშივე მიიმალნენ, საიდანაც პირველად გამოვიდნენ.

— თბილისის სამოსამართლო პალატაში მოსპო საქმე „ვსტან ი ხოდი“ რედაქტორის ნაზარენკოსი. უკანასკნელი პასუხის გებაში იყო მიცემული 128 და 129 მუხლის ძალით

— როგორც გადმოგვცეს ქალაქის ბაღების უფროსს ბ. რომანოვს „დაშნაკცაკანების“ პარტიის ჯგუფისაგან მიუღია მუქარის წერილი, სადაც წინადადებას აძლევენ რომანოვს თბილისიდან დაუყონებლივ გავიდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილს უქადიან. ვადათ დაუნიშნავთ 10 მარიობისთვე, როდემდისაც რომანოვი თბილისიდან უნდა გაეცალოს და ადგილი განათავისუფლოს.

— თფილისის სამოსამართლო პალატის განკარგულებით შეაჩერეს სომხური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „კაიწ“, მინამ სასამართლო არ გაარჩევს საქმეს.

— გაიფიცნენ „თბილისის ფურცლის“ ასოთ ამწყობნი და წარუდგინეს ბ. ხაჩატუროვს ეკონომიური მოთხოვნილებანი, რის გამოც გუშინ და დღეს „თბილისის ფურცელი“ არ გამოსულა.

— როგორც გადმოგვცეს სპარსეთის კონსტიტუციის გამოცხადების გამო ბევრს სპარსელებს განზრახვა ჰქონიათ დასტოვონ რუსეთის სამფლობელო და სპარსეთის კონსტიტუციონურ სახელმწიფოში გაემგზავრონ.

— როგორც ნავთლუღიდან გვატყობინებენ იქ 6 ამ თვეს ორს თათარს მიუტანიათ ერთი ყუთი გასაგზავნათ. საყარაულოთ მდგომ სალდათებს მიუქცევიათ ყურადღება და ყუთი გაუხსნიათ: აღმოჩნდარა შიგ ერთი ბერდანის თოფი და 100 ცალი ბერდანისავე პატრონა.

---

## პროვინცია

—

**სოფ. მარტყოფი.** (გარედ კახეთი), ღლევანდელი დიდებული, უკიდურესობამდე მიღწეული, მოქალაქობრივი ომი სრულებით გვავიწყდება ამ სოფელში ყოფნის დროს და გული სიბრაზით და სინანულით გევსება, როდესაც ხედავ რომ ამისთანა ძვირფასს დროს კიდევ მოიძებნება ისეთი ჩამორჩენილი სოფლები, როგორიც არიან მაგალითად: **მარტყოფი, ნორიო, ახალ სოფელი, ლილო** და სხვა, სადაც ძველებურადვე ნავარდობს ისევ ძველი წესი, ისევ ძველი ერთგულობა მთავრობისადმი.

ამათ (კერძოდ კი მარტყოფელების) შეუგნებლობას, ჩამორჩენას, ყოველგვარ რეაქციონურ და ხულიგანურ თვისებებს გარდა, კიდევ ამტკიცებს მათი ზნეობითი დაცემა. მათ ორშაბათს, 31 მკათათვის საღამოს ჩაიდინეს, მთავრობისაგანაც კი არა მოსაწონი საქმე: ორი ქურდის ჩაქვავება.

ამას წინად აქაურებს: დავ. ეპიტაშვილს და ვას. ჩიტრეკაშვილს დაჰკარგოდათ თითო ხარი, რომელნიც ბევრი ეძებეს ახლო-მახლო სოფლებში, მაგრამ ვერსად იპოვნეს მერე, ორშაბათ დილით, იმედ; გადაწყვეტილებმა მიაშურეს ქალაქ თბილისის საყასპოს. მოვიდნენ თუ არა საყასპოში, მათ შეამჩნიეს თავიანთ სოფლისავე ბიჭები: ივანე ისაკის ძე ეპიტაშვილი (20 წ.) და ბესო იაკობის ძე შოშიაშვილი (17 წ.), რომელნიც თურმე ჰყიდდნენ მათ ხარებს ხუთ-ხუთ მანეთად. ამის მნახველი გლეხ კაცები ისე გაბრაზდნენ, რომ კინაღამ იქვე არ დახოცეს ჯოხებით ის ბიჭები, მაგრამ მერე, სხვების რჩევით, ამჯობინეს თავიანთ მამასახლისთან წამოეყვანათ. აგრეც მოიქცნენ. გადაუკრეს ამ ქურდებს ერთი-ერთმანეთზე ხელები, გაუშურეს პირი-სახე, წაიმძღვანეს წინ და ხარებთან ერთად ცემა-ტყეპით მოერეკებოდნენ სოფლისაკენ. ჯერ სოფელში არც-კი ყავდათ ეს საცოდავები მოყვანილნი, რომ მათ თავ-პირი დასისხლიანებული ჰქონდათ უწყალო ცემისაგან. ეს უბედურება აქაურმა უვიცმა ხალხმა არ იკმარა და სოფლის კანცელარიასთან, მამასახლისის ბრძანებისამებრ, უფრო ცუდი დღე დააყენეს ამ საცოდავებს; მათი გულ-შემზარავი ყვირილი, ღრიანცელი გლოვის ზარივით ისმოდა მთელ სოფელში, რამაც აუარებელი ხალხს მოუყარა იქ თავი. ხალხს ხელები რომ მოეღალათ ცემით, მოაბეს მაშინ კისრებზე თოკი და პირქვე რიყის პირას ჩაათრიეს. (მანძილი 40—50 საჟ. იქნებოდა). მიათრიეს თუ არა რიყის პირას, დააწვინეს ერთ ხის ძირას და სეტყვასავით, მამასახლისის და მისი ამხანაგების მხეცურის განკარგულებით, დაუშინეს დიდი ქვები. ხუთი წუთი არც კი იქნებოდა გასული, რომ ის უბედურნი ქვებ ქვეშ გმინავდნენ, ოხრავდნენ და შველას თხოულობდნენ, მაგრამ ვინ იყო იმის მუდარის და თხოვნის გამგონე!

მამასახლისის და ხალხის გამხეცებამ იქამდე მიაღწია, რომ შებრალების, ხმის ამოღების ნებას არავის აძლევდნენ, რის გამოისობითაც, ერთ ხუთ-ექვს კაცს კინაღამ იმათი დღე არ დააყენეს; ერთ დედა-კაცს კი ტირილის გულისათვის სახრით ყბა გაუტეხეს.

უკვე კარგად იყო ჩამობნელებული, რომ ისინი ისევ საშინლად გმინავდენ და წყალს თხოულობდნენ... მაგრამ წარმოიდგინეთ, იმდენად გაუქვავდათ ამ უვიცებს გული, რომ ვიდრე თითონ არ მოისურვეს, არც წყალს ასმევდნენ და არც ქვებს

---

# ფელეტონი

### საფრანგეთის დიდი რევოლიუცია.

(პ. კროპოტკინისა.)

(გაგრძელება *)

ბურჟუაზიის პოლიტიკურ მისწრაფებას შეადგენდა იდეა წარმომადგენლობითი მთავრობისა ყოვლად ძლიერ სახელმწიფოში, რომელიც ხელმძღვანელობს მთელს ცხოვრებას მოქალაქისას; ეს მიმართულება სახელმწიფოს შესახებ ნასესხები ჰქონდათ ძველი რომის იურისკონსულტთაგან.

არა ნაკლებ გამორკვეული იყო მათი ეკონომიური იდეა. საფრანგეთის ბურჟუაზიას წაკითხული და შესწავლილი ჰქონდა პოლიტიკურ ეკონომიის შემქნელ ტიურგოსა და ადამ სმიტის თხზულებები, მან იცოდა რომ ეს თეორიები ინგლისში უკვე განხორციელებული იყვნეს ცხოვრებაში და შურის თვალით შესქეროდა ლამანშის გაღმა მცხოვრებ მეზობელთა ყოვლად ძლიერ ეკონომიურ ორგანიზაციას და კონსტიტუციას. ის ოცნებობდა ფეოდალთა ხელში გამოუყენებელ მიწის სიმდიდრის ექსპლოატაციას.

მას ამაში თანაუგრძნობდა სოფლის წვრილი ბურჟუა, რომლის რიცხვი დიდი იყო, რევოლიუციამდე, რომელმაც ეს რიცხვი კიდევ უფრო გაადიდა. მან წინდაწინვე იგრძნო მსხვილი მრეწველობის და წარმოების განვითარება მანქანის დახმარებით. მან წინასწარ იგრძნო აგრეთვე ვაჭრობის განვითარება და დაინახა შეძლებულება საქონლის გადატანისა ოკეანეს იქით,—კოლონიებში, ერთი სიტყვით, აუარებელი სამრეწველო საქმეები, ამერიკელი ბაზრები და აუარებელი სიმდიდრეები.

—

მაგრამ უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო დამსხვრევა იმ ბორკილებისა, რომლითაც გლეხი მიწაზედ იყო მიჯაჭული. საჭირო იყო, რომ მას შეძლება მისცემოდა დაენებებია თავი სოფლისათვის, ქალაქში გადასულიყო და ბატონის გამოცვლის შემდეგ, დიდი სარგებლობა მიეცა მრეწველისათვის, იმ მცირე ხარკის მაგივრად, რომელსაც იგი, იკლებდა რა თავისთვის ლუკმა-პურს, თავის სენიორს (ბატონს) უხდიდა.

საჭირო იყო წესრიგი სახელმწიფო ფინანსებში, საჭირო იყო ხაზინისათვის სასარგებლო და უფრო ადვილი გადასახადი, ხარკები, საჭირო იყო ის, რასაც ვერაგულად უწოდებენ „მრეწველობის და ვაჭრობის თავისუფლებას“. ძირს საძაგელი ცეხები, კამპანონაჟები, რომელნიც აბრკოლებენ ექსპლოატაციის თავისუფლებას! ძირს ყოველივე ის, რაიც ხელს უშლის ახლად აღორძინებულ მრეწველობას, ძირს შინაური დამოჯნები და ამკრძალავი კანონები! ხელ-შეკრულობის სრული თავისუფლება!

—

რომ ამ მიზნისათვის მიეხწია ბურჟუაზიას ჯერ უნდა დაემხოთ ბატონობა სასახლისა, არისტოკრატიისა და სამღვდელოებისა; საჭირო იყო მოეწყო სახელმწიფო და მისი მართველობის უფლება თვით ჩაეგდო ხელში.

აი,—მთელი პროგრამა ბურჟუაზიისა რევოლიუციის მოახლოვებისა, პროგრამმა, მშვენივრად განსაზღვრული, რომელშიაც ყოველივე თავის ადგილასაა, ყოველივე ჰარმონიული, ყოველივე დამთავრებულია.

—

რა თქმა უნდა, უსამართლობა იქნება რომ ვსთქვათ, რომ ბურჟუაზია მხოლოდ ვიწრო ეგოისტური ინტერესებით იყო ხელმძღვანელი. მესამე წოდების უკეთესი წარმომადგენელნი საზრდოვობდნენ დიდებულის წყაროთი, მეთვრამეტე საუკუნის ფილოსოფიით, რომელიც უკვე შეიცავდა ნასახს შემდეგ აღორძინებულ დიდებულ იდეიათა. უმაღლეს ხარისხამდე მეცნიერული სული ამ ფილოსოფიისა, მისი ღრმა ზნეობრივი ხასიათი, მაშინაც კი როდესაც იგი საეჭვო ზნეობას დასცინოდა, მისი ნდობა თანასწორთა შორის მცხოვრებ თავისუფალ ადამიანის გონების, ძალის და დიადი-

*) იხილე „მუშა“ ნომერი 50.

ალოდნენ,—ასე იწვნენ უძრავად, ქვებში დამალულნი 2—3 საათის განმავლობაში. მერე-კი, როდესაც კარგათ ჩამობინდდა და მოსწყინდათ ამ სურათის ცქერა,—აალალეს ქვები, წყალი დაალევინეს და ცოცხალ-მკვდრები, ხელებ შეკრულნი იმ ღამეს „პურის მაღაზიაში“ (ცარიელი იყო) დაჰყარეს უყურადღებოდ. ცოცხალ-მკვდრებს თოფებით ჰყარაულობდნენ მეორე დილამდე. იმ ღამეს ერთმა, ბესო შოშიაშვილმა წამებით განუტევა სული, მეორე კი, მეორე დღეს ძალზედ დაჩეჩქვილი, საკაცით, სახლში გადაიტანეს. მკვდარს ბოქაულის შემოწმებით ჯერ გასჭრიან და შემდეგ გადასცემენ მშობლებს დასამარხად.

ეხლა-კი მოგმართავთ კერძოდ თქვენ ლატაკნო, შეგნებს მოკლებულნო ძლეხნო, და გკითხავთ: „რა ჩაიდინეთ თქვენ! ნუ თუ უნდა ჩააქვავოთ, წუთი სოფელს გამოასალმოთ ის ადამიანი, რომელიც იძულებულია დღევანდელ დუხჭირ და აუტანელ მდგომარეობისაგან იქურდოს, იავაზაკოს?! ნუ თუ გგონიათ რომ ყაჩაღობა და ქურდობა დღევანდელი მთავრობის და უმთავრესად კი კერძო საკუთრების ნაყოფი არ არის?! ერთი მითხარით ვინ იქურდებს, ვინ იავაზაკებს თუ არ გაჭირვებული ან ცხოვრების სარსარს მოკლებული და შევიწროვებულ-დაჩაგრული?! ერთი მითხარით ვის მოსწონს ყაჩაღობა თუ არა სიმშილისაგან მიჰნედილს და ლუკმაპურის ნატრულს?.. ჩაუკვირდით ყველა ამ კითხვებს და თქვენვე მიეცით თქვენ თავს ჯეროვანი პასუხი, ვინაიდგან ეს საჭიროა თქვენი შეცდომის ცხადსაყოფელად და მით ამ გვარ შეცდომის მომავალში თავიდან ასაცილებლად; ხოლო მე კი ჩემის მხრით გეტყვით, რომ არ მოისპობა ქურდობა, ავაზაკობა და სხვა ამ გვარი ბოროტ-მოქმედებანი, სანამ ძირიან ფესვებიანად არ აღმოიფხვრება ყოველივე მთავრობა, რომლის ნიშნად, სანამ არ დარჩება მარტო ფერფლი... სანამ არ მოხდება ეს დიდებული საზოგადოებრივი აქტი (სოციალიზმი), სულ ამაოა თქვენგნით მიღებული ზომები ზემოხსენებულ მოვლენების წინააღმდეგ. უეჭველია ამ კითხვების შემდეგ ყველა ჭკუათა მყოფელი კაცი იტყვის მხოლოდ იმას, რომ **ქურდობა ნაყოფია კერძო საკუთრებისა და ყოველგვარ მთავრობისა.**

—

P. S. დაწვრილებით ცნობებს აქაურების ცხოვრების შესახებ, შემდეგში მივაწვდი პატივცემულ რედაქციას. *)

სოციალისტი.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვ თქვენ პატივცემულ გაზ. „მუშაში“ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს წერილს.

სამი წელიწადი არის მას აქეთ, რაც მე გაზეთების გაყიდვა დავიწყე და დღესაც ამ ხელობას ვადგევარ რომლითაც მე ვპოულობ ცხოვრების წყაროს ამ ერთით ერთი საშვალებით, მაგრამ საუბედუროდ ჩემდა დღეს იმ ზომაზედ არის მიღწეული საქმე რომ ამ ხელობაზედაც ხელი უნდა ავიღო, მაგრამ ჯერ მთლათ იმედი არ დამიკარგავს და სულით არ დავცემულვარ, რადგანაც იმედი მაქვს, რომ ამ საქმეში პრესსა ცოტა რამე დახმარებას გამიწევს: საქმე იმაში მდგომარეობს ჩემო პატივცემულო მკითხველო რომ, როდესაც გამოვდივარ რომელიმე ქუჩაზედ გაზეთების გასაყიდათ მოცვინდებიან ჩემთან ვიღაცა უცნობი პირები ორივე სქესისანი და დამიწყებენ მუქარებას, სიკვდილით დაისჯები, თუ ყოველთიის ერთათ ერთი სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „სიმართლე“ არ გაყიდეო: (რომელიც დღეს უკვე დაკეტილია მთავრობის განკარგულებით.) ხშირათ ეს ვაჟბატონები იმასაც მეუბნებიან: შე უსინდისოვ! გაზეთის გაყიდვა ფულზედ როგორ შეიძლებაო, მუქთათ უნდა არიგებდე რომ ხალხი განვითარდესო, ვეღარ გაიგე რომ ერთობა არის და ხანდახან იმასაც—რომ ხურდა ფული გიყრია ჯიბეში ერთი სამი აბაზი გვასესხეო ვალ შიგხვდებით ბაზარში და მოგცემთო და როდესაც უარს მიიღებენ ჩემგან, რომ მე თქვენ ვერ გიცნობ და ფული როგორ გასესხოთ მეთქი მუშტს მომიღერებენ და მეტყვიან; გაჩუმდი თორემ ცხვირში ძმარს გადენთო. ხშირად ეს ვაჟბატონები როგორც გავიგე ამ ბოლო დროს ბაზარში ყაზახ-რუსის ტანისამოსს ყიდულობენ, იცვამენ, მიდიან სოფლებში და ვითომ გუბერნატორის ბრძანებით სჩხრეკენ ხალხს და ამასობაში ისედაც საწყალს, გალატაკებულს სძარცვავენ და გლეჯენ.

არა ამაზედ ნაკლებ იქცევიან ჩვენი წარჩინებული მანდილოსნები (ბარიშნები) რომლებიც სოციალ-დემოკრატის სახელს ატარებენ და საქმით-კი არაფერს არ აკეთებენ... მაგალითათ მე თვითონ პირადათ ვიცნობ ერთს საზოგადოებაში ნახევრად წარჩინებულს სოციალ-დემოკრატის სახელის მატარებელს იულია დარახველიძეს, რომელსაც ერთს დროს კომიტეტის შესაწირი ფულის კრუშკა ებარა ხოლო დღეს კი ამ კრუშკაში კაპეიკი აღარ გდია ი, ამისთანა ელემენტებისაგან შესდგება ოთხმოცდა ცხრამეტი პროცენტი ჩვენი სოციალ-დემოკრატებისა, რომლებიც ცარიელი გალესილი ენით ქვეყნიერებაზედ სამოთხის დაარსებას პირდებიან ხალხს და საქმით კი ასთე იქცევიან როგორც ზევითა აღვნიშნე; აღდგომა და ხვალო,—ვნახოთ როგორ აუსრულებენ ხალხს ისინი თავის დაპირებას.

ნაკვერცხალი.

## ღ ი ა   წ ე რ ი ლ ი

ბატონ ნაარტისტალ სოსო ივანიძეს სიღნაღში.

ჩქარა და დაუყოვნებლივ მომეცით პასუხი რომელ პარტიას ან ჯგუფს ეკუთვნით თქვენ თუ არ გინდათ თქვენს წინაღმდეგ მივიღოთ პირველი უკიდურესი ზომები.

გაქვს თქვენ უფლება ფული აგროვოთ თუ არა, ან ვისი სახელით?

ჯანდაბელი.

# რ უ ს ე თ ი

—

როსტოვში პოლიციამ მოსთხოვა გაზეთების გამყიდველებს ხელწერილები, რომ იმათ არ გაჰყიდონ

*) ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზისა გამო ეს კორესპონდენცია ვერ დაიბეჭდა დროზე... რედ. შენ.

ბისადმი, მისი ზიზღი დესპოტიურ დაწესებულებისადმი—ყოველივე ეს შემდეგში რევოლიუციონერებში იჩენს თავს. საიდან იღებდენ ისინი ასეთს რწმენის ძალას, რომელიც მათ ბრძოლის დროს დაგვანახვეს? უნდა ვსთქვათ რომ ისინი, რომელნიც ყველაზედ უფრო თავგამოდებით ემსახურებოდენ გამდიდრების პროგრამმის, წრფელის გულით დარწმუნებულნი იყვნენ, რომ კერძო პირთა სიმდიდრე უკეთეს საშვალებას წარმოადგენდა საზოგადოთ მთელ ნაციის გასამდიდრებლად. მაგრამ რა დიდიც არ უნდა იყვნენ თავისუფლების, თანასწორობის და თავისუფალ პროგრესის განყენებული იდეები, რომელნიც ბურჟუაზიის უფრო გულწრფელ წარმომადგენელთ ასულდგმულებდენ 89—93 წლებში, ჩვენ მოვალენი ვართ განვსაჯოთ ისინი მათის **პრაქტიკულის** პროგრამის, მათი თეორიის განხორციელების მიხედვით.

განყენებული იდეია გამოურკვეველი რჩება;—როგორ გამოიხატება იგი რეალურ ცხოვრების ფაქტებში? შეხედეთ თანამედროვე სოციალისტებს, რომელნიც თავის აღფრთოვანებას, ენტუზიაზმს ჰპოვებენ მასსათა ბედნიერებაში, საერთო იდეის სიდიადეში, მაგრამ შეხედეთ რა სხვა და სხვა გვარნი არიან მათი თეორიები ამ იდეალის პრაქტიკულ განხორციელების მხრივ? ერთთათვის სოციალიზმი განთავისუფლებაა კაცობრიობისა, მაშინ როდესაც მეორეთათვის სამუშაო ქირის რეფორმას ძლივს ნიშნავს! და ამ ორ უკიდურესობათა შორის ჩვენ ვაჩნევთ ყოველგვარ ნაკეთებს. განყენებულ იდეიას შეუძლიან ადგილი მისცეს ყოველგვარ სხვა და სხვა ნაირ პროგრამას; მაშასადამე ჩვენ უნდა განვსაჯოთ ისინი არა იდეიის, არამედ პროგრამის მიხედვით.

და თუ სამართლიანად ვაღიარებთ რომ ბურჟუაზია 1789 წ. თავისუფლების, თანასწორობის, პოლიტიკურ, ეკონომიურ და რელიგიურ განთავისუფლების იდეებით სულდგმულობდა, აგრეთვე უნდა ვაღიაროთ რომ ეს იდეები იღებდენ ფორმას და გამოხატულებას სწორედ იმ ორკეც პროგრამაში, რომელიც ჩვენ დავასურათეთ: განუსაზღვრელი თავისუფლება ყოველგვარ სიმდიდრის სარგებლობისა, გამოყენებისა, ადამიანის შრომის ექსპლოატაცია, არავითარი გარანტია ამ ექსპლოატაციის მსხვერპლთათვის და სახელმწიფო უფლობის ცენტრალიზაცია ექსპლოატაციის თავისუფლების უზრუნველსაყოფად, ე. ი. იაკობინური სახელმწიფო ძველ რომის სახელმწიფოზე გამოჭრილი.

—

ხალხი? როგორილა იყო მისი იდეა? ხალხიც იმავე თანამედროვე ფილოსოფიით საზრდოობდა. დიდებულ მოტლანდიელ მოაზრეთა იდეები, სისტემაში მოყვანილნი, განვითარებულნი და პოპულიარულად ქცეულნი შეუმჩნევლად ვრცელდებოდნენ საფრანგეთში იმათ შორისაც კი რომელნიც გუთანს მიაგორებდნენ და სამჭედლოში ან სამხერხაოში მუშაობდენ. ისინი სულდგმულობდენ თავისუფლების დიდებულ პრინციპებით და მომავალში საყოველთაო მედნიერებას მოელოდენ. როდესაც ამ ეპოქის ლიტერატურას კითხულობთ თქვენ გაკვირვებულნი ხართ წმინდა სოციალისტურ და კომუნისტურ იდეების სიმრავლით, იდეებისა, რომელნიც ხალხში ვრცელდებოდნენ ბურჟუაზიის ისეთ წარმომადგენელთაგან როგორებიც იყვნენ სივისი და ბრისსო, რომელმაც ჯერ კიდევ პრუდონზე ადრე სთქვა: „საკუთრება ქურდობააო“.

გამოურკვეველი მისწრაფებანი კომუნიზმისა და ანარქიზმისაკენ იპყრობდნენ ხალხის მასსებს. საკმარისია გადაკითხვა რუსსოსი, მისი ფილოსოფიურ ნაწარმოებთა და რომანებისა, რომელნიც იმ დროს კითხულობდნენ, რომ დარწმუნდეთ ამაში. მაგრამ მაშინ როდესაც ბურჟუაზიისათვის ეს იდეები განთავისუფლებისა გამოიხატებოდენ დამთავრებულ პროგრამაში პოლიტიკურ და ეკონომიურ ორგანიზაციისა, ხალხს ამავე იდეებს აწვდიდენ უარყოფათა მთელი რიგის სახით, მას არ უხსნიდენ თუ რა უნდა აეშენებიათ დამხობილ დაწესებულებათა ადგილებზედ. შეიძლება ითქვას

სატახტო ქალაქების გაზეთები, გარდა „მოსკოვ. ვედომოსტ“ ისა და „ვეჩე“-სი. (რუსკოე სლოვო).

—

შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ დღეებში შეეკითხება ცირკულიარით გუბერნატორებს, რომ მოჰკრიბონ ცნობები: რამდენი პოლიტიკური პარტია არსებობს გუბერნიაში, საზოგადოებები, კავშირები და ადგილობრივი გაზეთები რომელ მიმართულებას ეკუთვნიან (XX ვეკ)

—

კითხვა რუსეთში დიქტატურის შემოღების შესახებ ჯერ არ არის გადაწყვეტილი. გუშინდელი გაგზავნილი უწყებები სამხედრო სამინისტროს საბჭოს წევრებისადმი, მოიპოვებოდა ერთი მუხლი „დიქტატურის დაარსების შესახებ. ვარშავში უკანასკნელ მომხდარ ამბების გამო, ძლიერ გაახარა დიქტატურის დაარსების ხოტრფილე პარტია, მაგრამ ამის წინააღმდეგ დადის ხმები რომ 8 აგვისტოს აპირობენ ქალაქ პეტერბურგში მოხსნან საგანგებო დაცვის წესები.

(რუსკ. სლოვო).

—

როგორც „პეტერბურგსკი ლისტოკი“ გვადმოგვცემს ისტოვევს საკითხი რუსეთში საპატრიარხოს დაარსების შესახებ.

—

ამავე გაზეთს ატყობინებენ, რომ კითხვა ამნისტიის შესახებ, აღარ აინტერესებს ბიუროკრატიას. ამ ახლო მომავალში არ უცდიან ამნისტის გამოქვეყნებას.

—

კაპიტან კოკმა, ფინლიანდიის წითელ გვარდიის წინამძღოლმა, გამოუგზავნა ერთ თავის რუს მეგობარს, ტერიოკში მცხოვრებს წერილი ქრისტიანიიდგან, სადაც დაწვრილებით არის მოთხრობილი მისი გაქცევა ფინლიანდიიდგან. ხმები ვითომ იგი დაეპატიმრებიოთ დუდერგოფის ახლოს, ტყუილი გამოდგა. იქ დაიჭირეს ერთი პირი რომელიც ძალიან ჰგავდა გარეგნობით და ტანის—მოყვანილობით კოკსა. გამოძიების შემდეგ იგი განათავისუფლეს. (პეტ. გაზ).

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსი)

—

**სოფია.** ფილიპპოპოლში შესდგა მიტინგი 1900 წარმომადგენლებისა, მაკედონიის და სხვათა ასოციაციებისა, დაესწრო ქალაქ ფილიპპოპოლის მოქალაქენი და მახლობელ მდებარე სოფლებიდგან. მიღებულია შემდეგი რეზოლიუცია: 1) წინადადება მისცენ მთავრობას, ყველა ღონე იხმაროს, რომ შესრულებულ იქმნას 23 პარაგრაფი ბერლინის ტრაქტატისა. მოისპოს დიპლომატიური ურთიერთობა საბერძნეთთან; საბერძნეთის ქვეშევრდომთა წინააღმდეგ მიიღონ უკიდურესი რეპრესიული ზომები, რომელიც საერთა-შორისო უფლებით შესაძლებელია. 2) იცნონ ყალბად მიურცშტეგის პროგრამმა; 3) გამოაცხადონ სინანული, ბერძნების წინააღმდეგ ძალადობაზე, რომელიც ბერძნების პროვოკაციამ გამოიწვია, 4) მოიწვიონ ბოლგარიის ხალხი, შესწირონ ყველა მატერიალური შეძლება, რომ განახორციელონ 23 პარაგრაფი ბერლინის ტრაქტატისა; კოპიო წარდგენილია რუსეთის, საფრანგეთის, ინგლისის, საბერძნეთის და იტალიის კანსულებთან.

**ბერდიანსკი.** სოფელ ორლოვსკაში დააპატიმრეს ყოფილი წევრი სახელმწიფო სათათბიროსი პრიტულო. დააპატიმრეს მასწავლებელი და სოფლის მწერალი, რომელნიც სწევდნენ აგიტაციას.

**კიევი.** საგანგებო საქმეთა გამომძიებლის კანცელარიაში, დატოვებულია მუქარის წერილი ქაქციულ ანარქისტ ნიკოლაევის მიერ.

**პარიჟი.** პრინცი მაგომეტ იბრაგიმი, სულთანის ბიძაშვილი სიკვდილის პირზეა, რომელსაც უბედურება შეემთხვა მატორში სეირნობის გამო.

**სოფია.** გამოირკვა, რომ ანხიოლაში მოკლულია, 8 კაცი, 2 მათგანი ბოლგარელია. ორი ქალი და ბავშვი დაიღუპნენ ცეცხლში. დაიწვა 816 შენობა.

**ვენა.** დააპატიმრეს რუსეთის ქვეშევრდომი ბორის სვანჩინსკი, რომელმაც კიევში გაიტაცა 83,000 მანეთი.

**ბერდიჩევი.** რევოლვერით დაჰკრეს პოლიციელი, რომელიც დღეს გარდაიცვალა.

**ბალახანა.** ზეიკოვის მუშის ქარხანაში გაფიცვაა. მუშა ორატორები დაითხოვეს. მოთხოვნილება ეკონომიურია.

**რეველი.** ფარდულში აღმოაჩინეს მრავალი სტამბის შრიფტი და არა-ლეგალური ლიტერატურა. დაიჭირეს 5 კაცი და 3 ქალი.

**ბახმუტში.** ვეტკის მაღაროებში მოხდა მუშების მრავალრიცხოვანი მიტინგი. დრაგუნებმა გაისროლეს თორმეტჯერ. მრავალია დაჭრი... და მოკლული.

**პოლტავა.** მოხდა შეტაკება გ... ხებსა და დარაჯებს შორის.

**მოსკოვი.** რუსეთ-ჩინეთის ბან...დგან, ყალბი დოკუმენტით მ...ღიათ 20,000 მანეთი.

— კეტერის პარფუმერიის ქა...ხნის მუშები და სპასკის მანუფ...ტურისა გაიფიცნენ.

— გაძარცვეს ეკლესია სოფ... როჟდესტვენსკაში.

**ლონდონი.** ვალპარაიზოში ყვე...ლა შენობა დაზიანებულია, გამო...უცხადეს სამხარ დროის წესები... მთელიათ ქალაქები აოხრებული... აკლიმ სურსათი და წყალი. ქალაქ... ლოსადეს ში მოკლულია 8, 000 მელპელიეში 2,000. და უსახლკარონი დარჩნენ. 12, 000. სანტიაგოში მოკლულია 400 კაცი.

—

რედაქტორ გამომცემელი

**მიხეილ დიასამიძე.**

## განცხადებანი.

—

ასოთ-ამწყობების თხოვნით მივმართავთ ყველა კორესპონდენტებს გზავნონ თავიანთი წერილები, მხოლოდ

**ერთ გვერდზე**

დაწერილი.

---

რომ ისინი ვინც ხალხს მიმართავდენ ხოლმე— სწორედ ისე როგორც ჩვენი დროის ბევრი სოციალისტთაგანი—გზას უხვევდენ მარტივობას. შეგნებულად თუ შეუგნებლად ისინი თითქოს ამბობდენ: „რა საჭირო აუხსნათ ხალხს თუ როგორ მოეწყოს ის მომავალში; დე ჯერ-ჯერობით მხოლოდ საბრძოლველი ძალა და ენერგია მოიპოვოს ძველ დაწესებულებათა დასანგრევათ. აი, ყოველივე ის, რაც მისგან მოითხოვება შემდეგ ვნახავთ თუ როგორ უნდა მოეწყოს ხალხით.“

ხალხს მომავალზედ არას ეუბნებოდნენ თითქოს, ეშინოდათ მის რევოლიუციონურ ენერგიის გაციებისა და მიჰმართავდენ მხოლოდ მის გრძნობას. მიუთითებდნენ რა არსებულ ძალმომრეობაზე, ეუბნებოდნენ: „აჯანყდი და ყველაფერი უკეთესად „მოეწყობათ„! რამდენი სოციალისტი და ანარქისტი მოქმედობენ ეხლაც ამნაირად! სურთ რა დააჩქარონ აჯანყების მოახლოვება, ისინი ყოველივე ცდას მომავალ საზოგადოების დასასურათებლად დამამძიმებელ თეორიად სთვლიან!

და სწორედ ამიტომაც ხალხის იდეები გამოიხატებოდნენ მხოლოდ უარისყოფაში: „გადავწვათ ჩვენ ვალდებულებათა ქაღალდები! ძირს ათეული! ძირს ქალბატონი veto? ფარნებზე არისტოკრატები! მაგრამ ვის მივცეთ განთავისუფლებელი მიწა? ვის გადავცეთ თავმოკვეთილ არისტოკრატთა მემკვიდრეობა? ვის მივცეთ სახელმწიფო უფლობა (რომელიც გაუსხლტა ქალბატონ veto-ს, ხელიდან და არანაკლებად ძლიერ ძალით შეიქნა იაკობინელთა ხელში)?

ისიც საეჭვოა, აღძრულიყვნენ თუ არა ასეთი კითხვები? და როდესაც შემდეგ, რევოლიუციის დროს ამ კითხვაზედ მხოლოდ იმისთვის დაიწყეს ლაპარაკი, რომ გადაექციათ ხალხი უფრო მართალი იქნება ვთქვათ: გაერყვნათ ხალხი ბურჟუაზიულ წესწყობილების მომხრეთ.

მაგრამ რაც უნდა ძლიერი იყოს იდეა, მთელი უფსკრული აშორებს მას მოქმედებისაგან. ბურჟუაზია უძლური იყო მანამ ხალხი დახმარებას არ აღმოუჩენდა მას თავის მკლავებით თავის რევოლიუციონურის სულით, თავის აჯანყებით და ჟაკერიებით, რომლებმაც მისცეს საშვალება ბურჟუაზიას ძველ რეჟიმის დამხმობისა.

ისტორიკოსები მედიდურად მოგვითხრობენ 14 ივლისზე ბურჟუაზიის რევოლიუციით გატაცებაზედ რევოლიუციის მოახლოვებისას. მაგრამ ეს მხოლოდ ლეგენდაა მომხდარ ამბების შემდეგ შეთხუზული. ჩვენ წინააღმდეგ ამისა რევოლუციის ისტორიის შესწავლის დროს გვაოცებს ბურჟუაზიის მონური მორჩილება მეფის ბატონობის წინაშე, მისი მონური ქცევა 1789 წ., მისი მონური ქცევა 1789 წლის შემდეგ თვით 1792 წლის ივნისამდე. რამდენი ათასი ლაქია ერთ დეპრემესნილზე!

თვით რევოლუციის შუაგულში, როდესაც მთელი აღმოსავლეთი საფრანგეთისა ცეცხლით იყო მოცული, როდესაც ხალხი ყველგან ბორკილებს აცხვრევდა, ბურჟუაზიის განწყობილება მეფისადმი სასირცხვოა.

წაიკითხეთ თუნდაც ედგარ კინეს „რევოლუციაში“ (თავის 1, 342 გვ). შემდეგი სტრიქონები: „1792 წელს იაკობინური კლუბი ჯერ კიდევ როიალური იყო; მას სურდა გამევება ბილო-ვარენისა, რომელმაც გაბედა და მონარქიის წინააღმდეგ გაილაშქრა. ამავე დროს რობესპიერი, სამი თვის წინ მონარქიის დაცემამდე, სერიოზულათ სვამს კითხვას: „რა არის ნეტავ რესპუბლიკა?“ ის თავგამოდებული დამცველი იყო როიალისტურ კონსტიტუციისა და ეს საკანონმდებლო კრების (La legislative) არსებობის დროს როდესაც ტრიბუნას მოშორებული თავის გაზეთში ხალხის აღზრდას ახმარებს თავის დროს. მის ნაწერებში არც ერთი სიტყვაა რომელსაც შეეძლო ხალხის მომზადება მომავალ ცვლილებათათვის! 7 ივლის 1792 წელს ე. ი. ორნახევარი თვის წინ რესპუბლიკის გამოცხადებამდე, რესპუბლიკელები საკანონმდებლო კრებაზედ ფიცსა სდებენ შეიზიზღონ რესპუბლიკა“*).

ეს ხდებოდა 1792 წელს, რაღა იყო 1789 წელს? ჩვენთვის არავითარ ეჭვს არ შეადგენს, რომ სამარ ძალას მხოლოდ ხალხი შეადგენდა. უიმისოდ არც რევოლუცია მოხდებოდა.

ფარ.

*) ამ ფაქტის სიმართლის დასამტკიცებლათ გადასინჯეთ „Moniteur“.

ელექტრონის სტამბა „გუტენბერგისა“, სასახლის ქუჩა, სახლი ქარ. თავ.-აზნაურობის.